

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოგვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11

1883-1891

15 იანვარი.

გ ა ზ ე თ ი ს თ ვ ა ს ი :

«მწყემსი»	12 თოვით	3 მან.	«მწყემსი» რუსული გამოცემით	12 თოვით	6 მან.
6	6	3	6	6	4

ფელისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
 ვა. ჩუბინაძე, ვა. რედაქციის „მწყემსი“ ა. „Пастыр“.

ყველა სტატიები და კორექტივები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავად გამოგზავნილი ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.
 სტატიები მიიღებიან რუსულად ენაზე დაწერილი და თარგმნით დაიბეჭდებიან.

კიდევ მართული სამეკლესიო ბალოების შესახებ.

1884 წელში თბილისში დაიხურა ქართული საეკლესიო ბალოების აღმადგინებელი კომიტეტი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში არსებობდა. ეს კომიტეტი დაარსდა აწ უკვე გარდაცვალებულის მაღალ ყოვლად სამღვდლო საქართველოს ექსარხოსის ვესევის თაოსნობით. უკანასკნელ დროში მაღალ ყოვლად სამღვდლომ, საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პავლემ ინება, რომ ხსენებულს კომიტეტს ან შეესრულებია თავისი მო-

ვალეობა და ან იგი დახურულიყო. კომიტეტის წევრებმა, ცოტა არ იყოს, გაიღვიძეს და მუყათად მოჰკიდეს ხელი ბალოების საქმეს. მათ მოიწვიეს საერო წოდებიდან ბალოების მცოდნე პირები და შეუდგნენ საქმეს კიდევ, მაგრამ საქმეში ჩაერივნ ისეთი პირები, რომელთაგან ზოგმა ქართული ბალოების სიძულილით და ზოგმა თავიანთ მორჩილ მონაობით ხელი შეუშალეს ბალოების აღმადგინებელ კომიტეტს. ამ დროს პატივცემულმა ყოვლად სამღვდლომ აღექსანდრემ, გორის ეპისკოპოსმა, ქართლ-კახური კილოს ბალოების ნოტებზედ გადაღება თვითონ იკისრა თავის ხარჯით. ამის გამო

კომიტეტი, რომელიც ოც წელზედ მეტი არსებობდა და არასფერი არ გაუკეთებია, სულ დაიხურა. შეიტყუო თუ არა ეს საქმე იმერეთის და სამეგრელოს სამღვდლოებამ, მათ თავიანთ ეპარქიალურს კრებაზედ მოაღაპარაკეს და გარდასწყვიტეს ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის დაარსება ამ სტრუქტურების დაშორების თანამდგომარეობით. ჩვენ ჩვენის მხრით მივიღეთ ყოველივე ზომა ამ ფრად საჭირო საქმის სისრულეში მოყვანისათვის, შევავრთეთ ფულუბი და გადავიღეთ ნოტებზედ ოთხასი საკაღიბელი. ნოტებზედ გადაღებული გალობა გასაშინჯად იგალობეს აქა-იქ იმერეთში და სამეგრელოში და საზოგადოებამ ყველგან მოიწონა ეს გალობა და დაამტკიცა, რომ ეს ისეთივე გალობა არის, როგორსაც გალობდნენ და დღესაც გალობენ მკოდნე მგალობელნი. ამ ნოტებზე გადაღებული საგალობელთა დაბეჭდვისათვის ბევრი ვეცადეთ, ბევრი ვევაჭრეთ სხვა-და-სხვა ლიტოგრაფიის პატრონებს, მაგრამ, ჩვენდასაშუაზრად, მათი დაბეჭდვა საძნელო შეიქმნა უფულოებისაგან. თუ ეს ნოტებზე გადაღებულ საგალობლები ასე უყურადღებოდ დარჩენ ჩვენი სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგან, ადვილი შესაძლებელია, რომ ბოლოს ეს ამოდენი შრომა სულაც დაიღუბოს.

საზოგადოებაში ხშირად გვსმისთ სამღვრადი სამღვდლოებაზედ, რომ მან საეკლესიო გალობა არ იცისო. ჩვენც ვეთანხმებით ამ ბატონებს. მართალია, რომ ჩვენს ეკლესიებში ქართული გალობის მკოდნე პირები თან-და-თან კლებულობენ და ბოლოს ეს გალობა სულ მოისპობა. მაგრამ გვიკვირს, რომ საზოგადოება ამ შემთხვევაში თავის თავს დამნაშავედ არა სცნობს. ვის ეკუთვნის ეკლესია? მრევლს. ვისი მოსამსახურეა მღვდელი და მედავითნე? ეკლესიის და მრევლის. როდესაც ეკლესია ცუდ მდგომარეობაშია, დასაძრახავია ამ ეკლესიის მღვდელი, მაგრამ ერთი ორად ვასაკიცხია მრევლი. თუ ეს ასეა, ნუ თუ საზოგადოება ვალდებული არ არის, რომ იზრუნოს ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისათვის და მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ ფრიად სასარგებლო საქმეში ერთად სამღვდლოებასთან? საჭიროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და იზრუნოს ნოტებზე გადაღებული საგალობლების დაბეჭდვისათვის.

ხშირად ჩვენი თავად-აზნაურობა თავის ბანკის

შემოსავლიდან სამოწყალოდ აძლევს ათასობით და ორი ათასობით ისეთ პირთ, რომელნიც გამოუდევრათ და უსარგებლოდ ხარჯენ ამ ფულებს. ამის გარდა ამისთანა მოწყალების მიცემით ჩვენი თავდაზნაურობა კრება, სამწყალოდ, ამრავლებს ჩვენში მოწყალების მათხოვარ პირთა რიცხვს. ამ მათხოვრებს გვერდში ამოუდგებიან ხოლმე ზოგიერთი მოსამსახურე ჯამაგირიანი პირებიც და ელიტინებიან საზოგადოებას ჯამაგირების მომატებას, რადგან მათ არა ჰყოფნისთ ათასი და ორი ათასი მანეთი!.. ნუ თუ საზოგადოება უარს ვერ ეტყვის მათ და თავისუფალს ფულს უფრო კეთილ საქმეზედ ვერ მოიხმარს? ნუ თუ არ შეუძლია თავად-აზნაურობა კრებას, რომ ამ ფულებიდან ცოტა-ოდენი თანხა გადადგას, რათა ნოტებზე გადაღებული საგალობლები დაიბეჭდოს?

თუ სრულიად ხმას არაინ გასცემს ჩვენს წილადებას, და არც არაინ ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, მაშინ ზნეობითად ვალდებულია ჩვენი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომ მან შეიძინოს ეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები. თუ ეს საზოგადოება მის დაბეჭდვას ვერ მოახერხებს, საიმედო აღვიღოს მაინც იქნება შენახული ეს ნაშრომი. იმერეთის და სამეგრელოს სამღვდლოება დიდის სიამოვნებით ათხოვებს ამ დამუშავებულ ნოტებს გადასაწერად და ყოველად სამღვდლოებისკაპოსი აღექსანდრეც, თუ თვითონ ვეღარ იკისრებს იბოლიტოვიანოვისაგან ნოტებზე გადაღებულ ქართულ საეკლესიო გალობის დაბეჭდვას, ათხოვებს ამ ნაშრომს გადასაწერად ხსენებულს საზოგადოებას. ჩვენის აზრით, ეს დიდი შეძენა იქმნება წერაკითხვის წიგნთ-საცავისაგან. ეს საზოგადოება არ უნდა მოერიდოს იმ მცირე ხარჯს, რომელიც მოუვა მასს ნოტების გადაწერისათვის.

ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფილა დეკ. დ. და-ქე.

† დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი.

დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის დაკარგვით ქართველობამ დაჰკარგა დიდად ღვაწლ-მოსილი კაცი, ჩვენმა ქვეყანამ—თავისი ქვეყნარბი შვილი, საქართველოს მწიგნობრობამა და ჩვენმა ნორჩმა საისტორიო და სალექსიკოგრაფიო მეცნიერებამ—იშვიათი მოყვარე, დიდი მოკეთე და მოტრფიალე. არ გვეგულება თითქმის ისეთი მცირეოდნად ნაწიელი და გაგებული ქართველი, რომ დავით იესეს ძის სახელი არ გაეგონოს, იმისი ზოგიერთი ნაშრომ-ნაღვაწი მანც თავის თვალთ არ ენახოს და ასე თუ ისე არ გამოეყენებინოს.

თავის ხანგრძლივს პროფესორობაში განსვენებულიმა ბევრს ჩაუწერგა გულში სიყვარული სამშობლო ქვეყნისა, დედა-ენისა, ქართულის მწიგნობრობისა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა. იმისი მხნეობა და სიყვარული შრომისა ხომ უკეთესი მაგალითი იყო მის ხელში გამოვლილ ახალგაზღვათა გაწურვებისა და კაცად გადაქცევისათვის.

დავით იესეს ძე ღირსეული განმგრობი იყო იმ სახელოვანის ღვაწლისა, რომელიც დაიწყო მეტყვამეცე საუკუნეში მთელმა გუნდმა დიდად ნიჭიერის მამულის შეილებსამ: გვირგვინოსანმა ვახტანგ სჯულ-მდებელმა და ბატონიშვილებმა: ვახუშტიმ, თეიმურაზმა, ანტონ კათალიკოზმა და სხვ.

დავით იესეს ძე ისეთს დროს დაიბადა, ისეთს ვითარებასა და გარემოებაში აღიზარდა, ისეთს ოჯახში განატარა თავის ყმაწვილობა და ისეთს ჰაერში ტრიალობდა ჰაბუკობაში, რომ თითქმის სიყრმიდამეც დედის ძუძუსთან ერთად, შეითვისა და შეიტკბო სიყვარული თავის სამშობლოსი, თავის დედა-ენისა, მწერლობისა და ისტორიისა. არა გვეგონა, რომ ამაზე მეტად სხვა რამ ჰყვარებოდა განსვენებულს თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში და აი სწორედ ეს ხანგრძლივი სიცოცხლე განსვენებულმა იმას შეაღია, რომ დიდის თავგამოდებითა და მხნეობით შეიმუშავე დედა-ენის გრამატიკა, შეაგროვა კოლექცია ძვირფასის ძველის ხელნაწერებისა, იშრომა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისათვის.

იმისი სალექსიკოგრაფიო ნაშრომ-ნაღვაწი ხომ, დაწყებული სიყრმიდგანეც და არ შემწყდარი მის უკანასკნელს სულის ღვამამდე,—ეს ნამდვილი სალა-

რო და საგანძე ქართულის ენისა, მისი დაუქნობელი გვირგვინია, მისი საუკუნო ძეგლია, მისი შარავანდელია.

დიად, დავით იესეს ძეს სრული ნება ჰქონდა ეთქვა ანტონ კათალიკოზისამებრ: მოვისვენე სხვათა ყოველთა ზრუნვათაგან, ხოლო ვერა მოვისვენე საქართველოს ზრუნვისაგანაო. მთელი მისი ცხოვრება და სიცოცხლე ერთი გამუდმებული, ფრიალ ნაყოფიერი ჯაფა და ზრუნვა იყო საქართველოს სასახელოდ და სადიდებელად.

სახელი და დიდება იმისთანა შეილს, რომელიც მისებრეც თავეადებით, მისებრეც დაულალობით იშრომებს და იზრუნებს თავის ქვეყნისათვის.

მარტო ამისთანა მამულის შეილის ხსენება და კურთხევა იქმნება საუკუნო, მარად დაუვიწყარი შეილთა და შეილი-შვილთაგან. სწორედ ამისთანა შეილი იყო მამულისა აწ განსვენებული დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი.

საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი! („ვერია“).

იმიტები
დ. კ. ფ შ რ ც მ ლ ა ძ ე.

(† ნეკროლოგია)

19 მაისს, თორმეტ საათზე, ხანგრძლივია და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა გაკაკისის საცნოვნო კამიტეტის თავმჯდომარედ ნამყოფი, დე ს. სტატ. სოკეტნიკო დიმიტრი ზ. ფურცლადე. განსვენებულს ზეამიწვეს. თქვენდა შესწავლილი ჩვენი ქვეყანა და იმისა მრავალგვარი საჭიროებანი და ბევრი ღვაწლიც მიუძღვის ჩვენას ქვეყნის წინაშე როგორც თავისი პატიოსანის სამსახურით, ისე ლიტერატურულის შრომითაც. 1849 წელში განსვენებულმა დაამთავრა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში და დანიშნულ იქმნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებლის უმაღლესს განყოფილებაში; ორი წლის შედეგ მან მაილა ხარისხი კანდიდატობისა და დანიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. 1853 წელში განსვენებული თავის თხოვნით გამოირჩნა სასულიერო წოდებისგან, მიიღო წინა ტიტულარნი სოკეტნიკისა და შემდეგ წელში მიიღო მაღისტრობის ხარისხი. 1860 წელში

განსვენებული დაინიშნა ამიერ და იმიერ კავკასიის სამოქალაქო საქმეების დროებითი განყოფილების რედაქტორის თანაშემწედ და, მთავრობის მინდობილებით, დათვლიერ კვლევისა და სამღვაღელოება მთიულეთში, ამის შემდეგ დაინიშნა წევრად გამმისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მთიულ სალსთა აღწერა. 1864 წელში განსვენებული დაინიშნა კავკასიის ნამესტნიკის განსაკუთრებულ მოხელედ და ამავე წელში დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა მიანდო მასს კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების საქმეების მმართვეა, ხოლო შემდეგ განსვენებული აღსრულებდა აღნიშნული საზოგადოების წევრის მმართველის თანამდებობას. 1872 წელში ხელმწიფე იმპერატორმა დაინიშნა განსვენებული ნამდვილ წევრად კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა. 1875 წელში განსვენებული დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ. და ბოლოს განსვენებულმა თავის თხოვნით თავი დასწება სამსახურს.

ერთი სიტყვით განსვენებულს სამსახურში ყოველთვის და ყოველგან კარგი აღაგები ეჭიან და თავის კარგის ყოფა-ქცევით და უნგარო სამსახურით მთავრობის ყურადღებას იქცევდა. გარდა ამისა, როგორც შემოთავაზ იყო ნათქვამი, ლიტერატურულს ასპარეზულადც ბევრი აქვს განსვენებულს ნაშრომი. მის ამგვარ შრომათა შორის თვალსაჩინო და საყურადღებოა: «ქართული საეკლესიო გუჟრება», «სათავად აზნაურთა გუჟრება», «საგლეხთა გუჟრება», «გასკეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნაილებანი», «ბოდბის მონასტრის აღწერა», «დედსასწავლებნი საქართველოს ეკლესიისა», «ანდრეი ანტონ კათალიკოსისა» და სხვა. ამით გარდა განსვენებული სმიწად სწერდა ხოლმე გაზ. «კავკასი»-ში. როგორც სიღნაღის მაზრის მემამულე განსვენებული დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ აზნაურთა ინტერესებსა და ცდილობდა კარგს გზას დაეყენებია სოფლის მეურნეობა და სკოლის საქმე. უგანასკნელ წამამდე განსვენებული იმყოფებოდა სამიწურატორთა ანქელოლოგიური გამმისიის და მოსკოვის ძველ ნაშთთა საზოგადოების წევრად—გორკისპოხნდენ-ტად და დიდი სამსახურით გაუწია მან ამ ორივე საზოგადოებას. განსვენებული 21 მაისს დასაფლავდა დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზედ.

ვლადიკავკასიის მღვდანი.

26 მაისს, დღით გვირას, ადვილობით განსვენებული ტაძარში ყოვლად სამღვდელო პეტრე, რომელიც გადაყვანილ იქმნა დიდა—უსტიუვის ეპისკოპოსად, ვოლკოვდის გუბერნიისა, გამოეთხოვა თავის სამწყსოს. მათმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა მსმენელთა. ამ სიტყვაში ყოვლად სამღვდელომ განუმარტა მსმენელთ, თე როგორ უნდა იცხოვრონ მათ ღმერთს უნდა მიუტონ ერთი ერთმანეთს დამნაშაობა. მრავალნი დამსწრეთაგანნი სტაროდენ და ენანებოდათ თავანთა სუფარული მწყემსთ-მთავრის მოპარება. მათი მეუფების სახელი საუკუნოდ დარჩება თურგის სათემოში, სადაც იგი მუყათად მოღვაწეობდა, და სადაც თავისი მამამვილური მოქმედებით დაიმსახურა სამწყსოს სიყვარული და პატივისცემა, თუმცა მათ მეუფებას აქ დიდხანს არ უმსახურნია (1 წელიწადი ზე 9 თთვე). კაი ხანია, რაც აქ დაწყებული იყო საკრებულო ტაძრის შენება კავკასიაში დასაოცილ მხედართა სახსოვრად, მაგრამ ტაძრის შენება ყოვლად სამღვდელოს პეტრეს მოსვლამდე მივიწყებული იყო. შენობა მათად ბალახით და ხვსით იყო დაფარული. მობრძანდა თუ არა ყოვლად სამღვდელო პეტრე, მან მამინვე ყურადღება მიექცია ტაძრის შენების საქმეს. მათი მეუფებას შეამავლობით მათულს იმპერიაში მოკრებილ იქმნა ფულები ამ ტაძრის სასარგებლოდ; გარდა ამისა მთავრობისგან მიიღო მათმა მეუფებამ ერთ დროებით შეაწევნელად 20,000 მანეთი, ყოვლად სამღვდელოს პეტრეს მეცადინეობით და ზედამხედველობით, ტაძრის კედლები აყვანილთა გუმბათამდის, მაგრამ მათი მეუფების წაბრძანების შემდეგ მოთავებულ იქმნება ტაძრის შენობა თუ არა, არ ვიცით. 27 მაისს ადვილობითა ინტელიგენციამ და ყველა დაწესებულებათა საერო მოსამსახურე პირებმა სადილი გაუკეთეს ყოვლად სამღვდელო პეტრეს ქალაქის კლუბში; 28 მაისს მათ მეუფებას ასეთივე სადილი გაუკეთეს ქალაქის წარმომადგენელებმა, ვაჭრობამ ზე მოქალაქეებმა. ბადში მრავალი ხალხი იყო შეკრებილი, რომ

ერთი კიდევ დაენახათავისი საყვარელი მწყემსთ-
მთავარი. სადილებზე ბევრი გრძნობით სავსე
სიტუაციები უთხრეს მათ მეუფებას. 29 მაისს თი-
თქმის მთელი ქალაქის მკვიდრი მოგზავდა,
რომ რკინის გზის სადგურამდის გაჰყოლოდა
ყოველად სამღვდელს. ბავშვები და მოწაფეები
გამოეთხოვენ მათ მეუფებას ტაძარში; ტაძრიდ-
გან დაწყებული რკინის გზის სადგურამდის გზა
მ. თენილი იყო მწვანეთი და ყვავილებით. გა-
მოთხოვების დროს მრავალნი სტაროაქენ. რო-
ცა მატარებელი დაინძრა, ყოველად სამღვდე-
ლო იდგა ვაგონის ფანჯარასთან და ჯვარს
სახვდა თავის სამწყსოს, რომელაც ჩამწკრუ-
ბული იყო რკინის გზის ლაინდავის პირად
გარდა დიდ მანძილზედ.

წმინდა რამაქციისადმი.

მამაო რექტორა!

თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი»-ს მე-
№ 9—10-ში წაგიკითხეთ სტატია თეკლათის დედათა
მონასტრის დაარსების შესახებ. ამ სტატიაში არის
ნათქვამი: „იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა სამე-
გრელოს ეპარქიის დახედვის დროს, დათვლიერა
როგორც ის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა სალომე
თავდგირიძის ასული და მასთან სხვაი დედანი, ისე
ის ადგილი, სადაც დღეს არის აგებული თეკლათის
დედათა მონასტერი, შეიტყა მონაზვნების ღარიბუ-
ლი მდგომარეობა. მისმა მეუღლემ უჩინა თავდგი-
რიძის ასულს იმ ადგილას გადასვლა, სადაც აგებუ-
ლია დღეს თეკლათის დედათა მონასტერი. მწყემსთ-
მთავარმა გაამხნევა მონაზვნები და აღუთქვა მათ
შემწეობა“. სტატიის ავტორი აღარ მოგვითხრობს,
თუ რა შემწეობა აღმოუჩინა ხსენებულს მონასტერს
ყველასაგან პატივცემულმა ყოველად სამღვდელს გა-
ბრიელმა, ამიტომ მე მაურს შევესო ეს ნაკლი.

1885 წელში ყოველად სამღვდელს გაბრიელმა
მოუწოდა გაენათის მონასტრის მღვდელ-მონაზონს
ამბერკის, უბოძა მას დამოწმებული კონდაკი და
გაგზავნა იგი თავის ეპარქიაში თეკლათის დედათა
მონასტრის სასარგებლოდ შეწირულებათა შესაკრე-

ბლად. მ. ამბერკი დიდს მეცადინეობით შეუღდა თა-
ვის მწყემსთ-მთავრის მინდობილების აღსრულებას.
იმან ჩამოიარა იმერეთის ეპარქიის ზოგიერთი საბლა-
ლოჩინო მასრები და სულ ცოტა ხანში შეჰკრიბა
3500 მანეთი. ეს ფულები ყოველად სამღვდელს
გაბრიელმა გაუგზავნა თეკლათის მონასტერს. გარდა
ამისა, მათი მეუფება დიდ დახმარებას უწევდა ამ
მონასტერს, ვიდრემდის სამეგრელოს ეპარქია მიწე-
რილი იყო იმერეთის ეპარქიაზე.

შესანიშნავია, რომ ჩვენი ხალხი ძველიდგანვე
დიდ პატივს სცემს გაენათის მონასტერს და მასში
მოღვაწე ძმათა. რაც უნდა ღარიბი გლეხი იყოს,
იგი შეწირულებას არ იშურნებს, როცა მას ამ შე-
წირულებისათვის კარს მიადგება გაენათის მონასტრის
რომელიმე ძმთაგანი. ამით აიხსნება ის გარემოება,
რომ მ. ამბერკიმ სულ ორი-სამი თთვის განმავლო-
ბაში შეჰკრიბა 3500 მანეთი თეკლათის მონასტრის
სასარგებლოდ. ეს სულიერი მამა არც თავის მონას-
ტერს აკლებს შესაფერს მოღვაწეობას. მას თავის
მეცადინეობით აღუშენებია გაენათის მონასტრის
ფშოში ხის სამ ოთახიანი სახლი თავის სამზარეუ-
ლოთი, რომელიც დაჯდომია ათას მანეთზე მეტი;
მასვე თავის საშუალებით გაუკეთებია მშენიერი ჩარ-
ჩოები მისდამი რწმუნებული წმ. გიორგის ეკლეს-
იის ბიჭვინტის ღვთის-მშობლის და თამარ დედოფ-
ლისაგან შემკული ორ-კარიანი ღვთის-მშობლის
ხატებისათვის, მოუბოგებია სამღვდელს შესამოსლე-
ბი, ღარბულნი 100 მანეთად, და შეუმოსავს ტრა-
პეზი.

შოველივე ამ მოღვაწეობისათვის სწორედ მად-
ლობის ღირსია მ. ამბერკი და იმედი გვაქვს, რომ
იგი შემდეგშიაც განაგრძობს მოღვაწეობას გაენათის
მონასტრის გამშენებისათვის.

ერას კარა.

«ჩვენ ზამთარჯამთ!»

მითხელ რუსების ჯარი ეომებოდა თათრების
ჯარს. მათრის ჯარი ისე დამარცხდა, რომ მთელი
ჯარიდგან მარტო ერთი კაცი გადაჩინა. ეს საწყალი
ცხვირიბირ დამტყრეული და სისხლში მოსვრილი
გარბოდა და ყველას, ვისაც გზაში შეხვდებოდა, შეს-

ძახოდა: «ჩვენ გაემარჯვეთო!». სწორედ ასე მოსდის ცრუ მწერლობით ყველასაგან ცნობილს გაზეთ «ნოვ. ობოზრ.»-ის თანამშრომელს ილია ხონელს. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოხსენებული იყო, რომ მუთისის მიხაილოვის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა კრებაზე 21-23 მაისს 580 კენჭში 15 შავი კენჭი ამოვიდა ბ. ძალისტრატე ჩიკაიძეს, როდესაც ზემოხსენებული გაზეთი ქვეყანას უმტკიცებდა, რომ თავდა-აზნაურობას და ინტელიგენციას ძ. ჩიკაიძე ეითომც არა სურდა ბანკის მმართველად. ამაზე ბ. ილია ხონელი «ნოვ. ობოზრ.»-ის № 2560-ში ამბობს: «ჩვენ არ დავეძებთ ამ ჭოროს გამტყუნებას და სხვა...» ხონელი და «ნოვ. ობოზრ.» არ ერწმუნენებიან ამ ამბავს და თავისებურად იძახიან: მეკენჭები მოიციდესო. მაგრამ 580 კაცის მოსყიდვა ესე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთი გაზეთის თანამშრომლების მოსყიდვა, რომელთაც ააღაპრებენ თავის სურვილისაებრ. მოსყიდვაზე რომ ყოფილიყო საქმე, რატომ ზოგიერთები ვერას განდენ, თუმცა ყოველივე ღონე იხმარეს გასამარჯვებლად? ამბობენ: «მიბატყება, ალერსით შეყრა, თბილი სიტყვები და სხვ. ბევრი იყოფო». რომელ ადგილს ამორჩეულა ჯამაგირიანს ადგილებზე ჩვენში კაცი, რომ ასეთი ზომები არ ჩაედინოს მას, საუბედუროდ? ასეთი წესები არჩევენის დროს უფრო განათლებულს და დაწინაურებულს სახელმწიფოებში არსებობს დღეს. მინ არ იცის, თუ რა ზომებს ხმარობენ საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა საქმე კენჭზე მივა? თუ კი ამას ვებღავთ ჩვენზე უფრო დაწინაურებულს ხალხში, რა გასაკვირველია, რომ ჩვენში ცოტა რამ უწყესობა მოხდეს კენჭის ყრის დროს, მაგრამ აქედან არავის არ ეძლევა უფლება, რომ მთელი გუბერნიის თავდა-აზნაურობა კაცის მკვლელებად და ავაზაკებად ჩარიცხოს...

ი. ხონელს თავის აზრის დასამტკიცებლად, ჩვეულებრივად, ხუთი-რვა წლის წინათ გარდაცვლილი კაცის ნათქვამი სიტყვები მოჰყავს და გვთხოვს, რომ გარდაცვალებული ბ. მკვდლიძის სტატია აღძრული კითხვის შესახებ გადმოვებტლოთ გაზეთ «შრომიდან» ჩვენს გაზეთში. რა სტატია იყო ამ კითხვის შესახებ დაწერილი «შრომაში»? როდის? რომელ წელში და თთვეში? რომელ ნომერში? ესეები ხონელისათვის ჰაჭირიანი არ არიან!... თუმცა ამისთანა მოთხოვნის დაკმაყოფილება ყოველად შეუძლებელია, მაგრამ,

ეთქვათ, მოხდა ისე, რომ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე და პირი დაუცევით ხონელს, თქვენ გგონიათ, რომ ის მერე პასუხს გაგცემს? არასოდეს.

ხონელს ძლიერ უყვარს მკვდრების მოწმად დასახელება, რადგან ცოცხლების მოწმობაზე იმედი არა აქვს. ამას წიხეთ თავის ყოველად ცრუ აზრის დასამტკიცებლად, მან დაასახელა მოწმად გარდაცვალებული გენერალ-ლეიტენანტი ბ. სმეკალოვი. როდესაც ჩვენ ხონელი ისეთ ადგილს მივიგდეთ, საიდანაც დამძრევა და კრინტის ამოღება არ შეეძლო, იგი გაჩუმდა და ჩვენგან მიცემულ კითხვებზე პასუხი ვერ გაგცა. ბოლოს კიდევ თავისებურად გაიძახოდა: «ჩვენ გაემარჯვეთო!» აქვს თუ არა დღეს ხონელს უფლება, რომ კიდევ მკვდრები მოიყვანოს მოწმად? და ჩვენ კითხვები მოგვეცეს, როდესაც მან ჩვენგან მიცემულ კითხვებზე პასუხის გება ველარ შეიძლო?...

ხონელს შეუძლია მოატყუოს თბილისის ზოგიერთი სომხები, რომელთა ინტერესებს დიდი ხანია ემსახურება იგი თავის ორგანიზაციას. რაიცა შეეხება დასავლეთის საქართველოს საზოგადოებას და ინტელიგენციას, ამათ ისე ადვილად ვერ მოატყუებს ხონელი, რადგან ყველამ კარგად იცის, თუ ვინ ბრძანდება იგი და მისი კამპანია და რამდენათ შესტიყათ მათ გული ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნისათვის...

მუშის სისხარული.

დილით, მაისის თხუთმეტსა
წვიმა მოვიდა ქუქუნა,
სიმიდს უური აუცქვიტა,
მიწა კი დააბუქუნა.

მიდვრად გამოდის სესია,
თავშიშველი და პირღია,
ცას შეჰქურებს სისხარულით
და თან პირი დაუღია.

— შენი გამჩენის ჭირიმი,
თითო წვეთი ოქროდ ღირსა,
დმერთო, გმადლობ, ჩვენს ყანებსა
ამ დროს წვიმა რომ ეღირსა.

თოხით მუშა ვარ, დარბი,
ფულითაც მმართვეს ვაღია,
მაცხოვარო! გარდამავლე
მოწყალე შენი თვალია.

მრავალ გზის გამიგონია:
„ოფლითა სჭამდე ჰურსაო“,
დამსაჯე, ამ შენს ბრძანებას
თუ არ უგდებდე ყურსაო.

მაგრამ დიდის ოფლის ფვრითა,
საზრდო მომდის ერთობ მცირე,
ცოდნევილი ვერ ვასაზრდოვე,
ხატს სანთელი ვერ შევსწირე.

გადმოხედე ჩემს ნაოფლარს,
დახე, დათვალიერე,
შემაწიე შენი მადლი,
მცირე გამიხვავრიედე.

წვიმის გამჩენის ჭირიმი,
შრომა არ გამირონია,
მონათლა მთელი ქვეყანა,
გარდაავლო მირონია.

დაუშვი, წვიმიავ, გეააყვა,
დასველდეს მთა და ბარია,
დავსველდე მეცა, აქ ვიდგე,
მინემ გამოვა დარბია.

ხვალ და ზეგ უნდა მიუერთო,
რომ ვტრიალებდე თოხითა,
ხალისიანათ ვმდგროდე
მუშურსა ხმითა ბოხითა.

მიწა არა მაქვს საყოფი,
მაწუნებს ცოტად მარტო ის,
ორს დავკრავ: ერთი ჩემია,
მეორე მიწის პატრონის!

მეგრამ, მანც არა უშავს,
რა გი მწყალობს მადლით ზეცა,
მაცხოვარი შემეწევა,
საზრდოს მომცემს ვით სხვას მეცა.

რაჟდენ საჯაოხელი.

წესდებანი წერა-კითხვის სკოლებისა.

(უმაღლესად დამტკიცებული 4 მაისს 1891 წ.)

§ 1. წერა-კითხვის სკოლები არიან სასწავლებლებში დასაწყისი სწავლისა, რომელნიც იხსნებიან ქალაქის და სოფლის სამრეკლავოში და აგრეთვე მონასტრებთან.

§ 2. წერა-კითხვის უველა სკოლები, როგორც აქამოდე ახსებულნი, ისე რომელნიც ახლად გაიხსნებიან, იმუფებიან სასულიერო მთავრობის განსაუბრებულს გამოცობასა და ზედამხედველობის ქვეშე. ზრუნვა წერა-კითხვის სკოლების შესახებ სამრეკლავოში და მათი მმართველ ეკუთვნის ადგილობრივ მღვდლებს, ანუ ამ პირობით, რომელნიც დანიშნულ იქმნებიან ეპარქიის მწყემსთ-მთავრისაგან. ზასუხის გება სკოლის მართლმადიდებელ ეკლესიურში მიმართულების შესახებ უფლებს შემთხვევაში მოკალაობად ედგინება მრეკლავის მღვდელს.

§ 3. წერა-კითხვის სკოლების გახსნა შეუძლიათ ეკლესიის გრებულის წევრთ, მონასტრებს, საქველმოქმედო დაწესებულებათ, სამრეკლავოს ერთს ანუ რამდენიმე პირობს, სოფლის და ქალაქის საზოგადოებათ და ეკლავს.

§ 4. ადგილობრივი სამრეკლავო, რომელთაც ჰსურთ თავის საჭრით წერა-კითხვის სკოლის გახსნა, უნდა მიიქცნენ რჩევისათვის მრეკლავის მღვდელთან, რომლის მოკალაობას შეადგენს გასახსნელი სკოლისათვის კეთილ სამედეო მასწავლებლების და მზრუნველის შოვნა და ზრუნვა, რომ სკოლას მოუპოვოს უველა საჭირო სასკოლო-საწავლობო და სასწავლო წიგნები. ურეკლავო გაუგებლობას, რომელიც შესამდებელია მოხდეს მღვდელსა და სკოლის დამაარსებელთა შორის, განმარტავს ეპარქიალური სკოლების რჩევის მანქანის განუყოფილება, ადგილობრივი თავალ-უფრის მტდებელის მოხსენებით.

§ 5. პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც არ ეკუთვნიან სამრეკლავოს და რომელთაც ჰსურთ წერა-კითხვის ერთისა, ანუ რამდენიმე სკოლის გახსნა სამრეკლავოში, უნდა მიიქცნენ თავის წინადადებით ანუ ეპარქიალური სკოლების რჩევის სამაზრო განუყოფილებაში, ანუ ადგილობრივ მღვდელთან, და ამასთან უნდა აწირობონ, თუ სდ და რა საშუალებით სურსათ მათ სკოლის გახსნა.

§ 6. წერა-კითხვის სკოლებში ასწავლიან მღვდელუბი, მთავარ-დაიკნები და კრებულის სხვა წევრნი, აგრეთვე საერო წოდების მასწავლებლები, რომელნიც აღჩრუულ უნდა იქმნენ მართლ-მადიდებელი აღსარებისაგან, კეთილი ცხოვრებისა და რომელთაც იცინ სავნებო დასაწყისი სწავლებისა. სკოლისათვის მასწავლებლის აღჩრევა ეკუთვნისო მათ დამაჩრებულთ, მრველის მღვდელთან შეთანხმებით.

§ 7. პირთ, რომელთაც აქვთ მოწმობა მასწავლებლის წოდებისა, ნება ეძლევათ წერა-კითხვის სკოლებში მასწავლებლობისა, რადა დამოწმებულ იქნება მათი კარგი ზნე და ყოფაქცევა ეპარქიალური სკოლების ჩრევის სამაზრო განყოფილებისაგან.

§ 8. თუმცა მღვდლისაგან აღჩრეულს ანუ სკოლის დამაჩრებულთაგან დასავლებულს პირს არა აქვს მოწმობა დასაწყისი სკოლის მასწავლებლის წოდებისა, ანუ სამრველო სკოლებისა, მაშინ მღვდელმა თვითონ უნდა შეიტყუოს, იცის თუ არა ამ პირმა ლტკეები, საღმრთო ისტორია, შემოკლებითი კატეხიზმე და სხვა სავნები, რომლებსაც სწავლობენ წერა-კითხვის სკოლებში, და თუ მღვდლისაგან აღჩრეულმა პირმა, ანუ სკოლის დამაჩრებულთაგან ნაჩრეუბმა პირმა გამოიჩინა საგამოცოდნა საღმრთო სჯულში და წერა-კითხვის სკოლების სხვა სავნებში და მასთან ეს პირი ზნეობით საიმედოა, მაშინ მრველის მღვდელი აძლევს ასეთ პირს წერალობით ნებაჩრთვას მასწავლებლობის თანამდებობის დაჭერის შესახებ, და ამის შესახებ აცნობებს ეპარქიალური სკოლების ჩრევის სამაზრო განყოფილებას. პირნი, რომელთაც ნება ეძლევათ მასწავლებლობისა წერა-კითხვის სკოლებში, ამ წესდებათა ძალით, არ სარგებლობენ იმ უფლებით, რომელიც მოხსენებულა სამხედრო ბეგრის წესდების 63 მუხლში.

§ 9. წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლები, რომელთაც აქვთ მოწმობა დასაწყისი სკოლის მასწავლებლობისა, ანუ სამრველო სკოლებისა, სარგებლობენ უველამ იმ უფლებით, რაიცა მიკუთვნებულა აქვს ამ წესდებას და თავისუფალი არიან სამხედრო ბეგრისაგან ამ ბეგრის წესდების 63 მუხლის ძალით, იმ პირობით კი, რომ ხუთი წლის განმავლობაში, დღიდაც მათი ზურგის ჯარში ჩარიცხვისა, სამრველო სკოლების ჩრევის სამაზრო განყოფილებათ უნდა წარადგინონ ამისთანა მასწავლებლების შესახებ ქვემდებარე სამხედრო ბეგრის დაწესებულებაში ცნობები მასზე, რომ აღნიშნულთ მასწავლებელთ წერა-კითხვის სკოლებისათვის თავი არ და-

უნებებიათ მათი წოდების შესაფერ მეცადინეობათვის.

§ 10. მრველის მღვდელნი შეამავლობენ მზრის განყოფილებათა წინაშე, რომ წერა-კითხვის სკოლების მზრუნველებად დამტკიცებულ იქმნენ ის პირნი, რომელთაც დაარსეს ესეთი სკოლები, ანუ ამ სკოლებს უჩენენ შემწობას თავისის ნიკთიერის საშუალებით, სოლო საზოგადოებანი და დაწესებულებანი, რომელთაც გასსნეს წერა-კითხვის სკოლები, თვითონ იჩრევენ თავის შორის სკოლის მზრუნველს. წერა-კითხვის სკოლების მზრუნველები მტკიცდებიან ამ თანამდებობაზედ ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან, შემდეგ ეპარქიალური სკოლების ჩრევის სამაზრო განყოფილებათა მოხსენებისა.

§ 11. წერა-კითხვის სკოლის მზრუნველნი მრველის მღვდლებთან ერთად ზრევენ: ა) ავტონ სკოლისათვის მოხერხებულ შენობას და მოიბზოვონ საკლასო კუთხნილებანი; ბ) თავის დროზე, ადგილობით პირობათა მისეფით, სწავლის დაწეებას და რომ თავის დროზე დადიოდენ მოსწავლენი სკოლებში; გ) რომ მასწავლებელს თავის დროზე ეძლეოდეს დაწესებულები ვამბიერი და დ) რომ მოწაფეები რაც შეიძლება გამოუტოვებდ დადიოდენ ტძმრეში ამ მიზნით ეგვლეციებიდან დაშორებულს სოფლებში შეიძლება დაწესებულ იქმნეს კეთილ მნებლობითი მოართულობა რიგრიგობითი ცხენებ შემზულ ურმებისა.

§ 12. წერა-კითხვის სკოლების მზრუნველები სარგებლობენ უზირატესობით, რომელიც მიკუთვნებულა აქვთ მოსამსახურე პირთ სათემო და სასოფლო სამმართველობებში (პ. პ. 1 და 2 მუხ. 124 წესდებულებისა გლეხთა შესახებ 19 თებერვლიდან 1891 წლისა).

§ 13. წერა-კითხვის სკოლების მზრუნველები, რომელთაც აღმოუჩინეს აღნიშნულს სკოლებს განსაკუთრებულ ნიკთიერი და ზნეობითი დახმარება ამ სკოლების წარსატებლად, რადა ამას პირდაპირ დამოწმებენ სამაზრო განყოფილების წევრნი, რომელნიც ხედავენ სკოლებს, და ამ განყოფილებათა ყურნალური დაჯგობლობათა ძალით, შეიძლება წარდგინელ იქმნენ ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან სამატოო საჩუქრებსე.

§ 14. წერა-კითხვის სკოლების კუჩისის სავნებს შეადგენს: საღმრთო სჯული (მოკლე საღმრთო ისტორია: ძველისა და ახალი აღთქმისა და მოკლე კატეხიზმე); საეკლესიო გალობა, საეკლესიო წიგნებისა და რუსულის კითხვა, წერა და დასაწყისი ანგარიში.

§ 15. წერა-კითხვის სკოლებში სწავლება სწარმოებს იმ სასკოლომდგანელობით, სასწავლო წიგნებით და საზოგადოდ იმ წიგნებით, რომელნიც ნაჩვენებია უწმიდესი სინოდისა და უწმიდესი სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევისაგან. აღნიშნულ სკოლებთან, საშუალების დაგვარად, არსდებიან მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის წიგნთ-საცავები იმ წიგნებისაგან, რომელნიც ნება დართული და მიღებულია უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო რჩევისაგან.

§ 16. წერა-კითხვის ყოველ სკოლაში უნდა იყოს საკლასო წიგნი, რომელშიაც მასწავლებელი ნიშნავს მოსწავლეთა სახელსა და გვარს, მასში ნიშნავს მოწაფეთაგან გაშვებულს გაკვეთილებს, მიზეზთა ჩვენებით გაშვებულ გაკვეთილთა შესახებ, და ამ წიგნშივე ნიშნავს მიტეპული გაკვეთილების შინაარსს. ამ წიგნში დრო და დრო სწერენ თავის შენიშვნებს მოსწავლეთა სწავლის შესახებ და საზოგადოდ სკოლაში სწავლის საქმის წარმოებაზე მღვდელი, მზრუნველი და თვალყურის მკდებელი.

§ 17. წერა-კითხვის სკოლებში სასწავლო დროის განსაზღვრა წლის განმავლობაში და კვირული გაკვეთილების დაწყობა ამ სკოლებისათვის შეადგენს ეპარქიალური სკოლების რჩევის საძირკვარს განყოფილებათა მოვალეობას.

§ 18. სასწავლო წლის გამთავებს, ზღვრული სკოლის მასწავლებელთან და მზრუნველთან ერთად და, რაც შეიძლება, სოფლის მოხელეების და მოსწავლეთა მშობლების დასწრებით, ტრის სკოლის ყველა მოსწავლეს. წერა-კითხვის სკოლების ის მოწაფენა, რომელნიც, რომელნიც, რომელნიც დაიჭერენ კვანძებს, იღებენ მოწმობას, რომელშიაც ინიშნება, რომ მათ შესწავლილი აქვთ გავლილი კურსი და ამ მოწმობაზე ხელი უნდა მოაწეროს მრევლის მღვდელმა, მზრუნველმა და მასწავლებელმა და ზედ დასმული უნდა იქმნეს ეპარქიის ბეჭედი. საძირკვარს განყოფილებანი თავის დროზე უგზავნიან მრევლის მღვდლებს ამ მოწმობათა ბლანკებს. ეს მოწმობანი მათ მიმღებ მოწაფეებს არავითარივე უფლებას არ ანიჭებენ სამხედრო ბეგრის შესახებ. სამხედრო ბეგრის უზიარატესობის მიღებისათვის წერა-კითხვის სკოლების მოსწავლეთა ეპარქიის უნდა დაიჭირონ სასულიერო უწყების გამოსაცდელ კომისიებში თანასწორად საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოწაფეებთან (კრება კანონთა და განკარ. მთავრობისა 1889 წლისა № 31, მუხ. 272).

§ 19. რომ წერა-კითხვის სკოლებში წარმატებით წავიდეს სწავლა-აღწერის საქმე, მრევლის მღვდელთა მოვალეობად ედგინებათ, რომ, რაც შეიძლება, ხშირად დახედონ ამ სკოლებს.

§ 20. წერა-კითხვის სკოლის დახედვის დროს მღვდელი ტრის მოსწავლეს იმაში, რაც გაუგიათ, უურს ადევნებს მასწავლებლის სწავლებას და ესაუბრება მოწაფეებს საღმრთო სჯულის საგნების შესახებ. მღვდლის განსაკუთრებითი უურადლება მიქცეული უნდა იქნეს სკოლის საეკლესიო აღზრდის მისაწყობად, და სახელდობ: ლიტურგიის კეთილ მოწიწებით კითხვას სკოლაში მოწაფეების გვირა-უქმ დღეებში სიარულს ეკლესიაში, მოწაფეების სასწავლებლის გარეშე წიგნების და სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვას.

§ 21. სასწავლო წლის დამდეგს და გამთავებს განაწილდენ უნდა იქმნეს სამადლობელი ზნაქისა, რომელზედაც თავის დროზე მოწვეულ უნდა იქმნენ სოფლის მოხელენი და მოწაფეთა მშობლები.

§ 22. კვირა-უქმ დღეებში წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელს უფლება ეძლევა გამართოს საღამოთა კითხვები სკოლაში მოსწავლეთა და მათ მშობელთათვის. კითხვის დროს უნდა იგალობონ ლიტურგია და საეკლესიო საგანდობლანი და ყოველივე ეს უნდა სწარმოებდეს მრევლის მღვდლის ჩვენებით და სკოლომდგანელობით.

§ 23. ის მოვალეობანი, რომელიც ამა წესდებათა ძალით ედგინება სამრევლო სკოლების ეპარქიალურ რჩევის საძირკვარს განყოფილებათ წერა-კითხვის სკოლების მმართველის შესახებ იმ მარტებში, სადაც ასეთი განყოფილებანი ჯერ კიდევ არ დაარსებულან, დროებით უნდა მიენდოს, ამ განყოფილებათა გახსნამდე, ეპარქიალურ სასწავლო რჩევის.

§ 24. უმაღლესი მართვა წერა-კითხვის ყველა სკოლებისა და განაკრულება ამ სკოლების შესახებ ხარჯთა მიტემის შესახებ ეკუთვნის უწმიდესი სინოდს, რომელსაც, ამ დარბობათა განსამარტებლად, შეუძლია გამოსტყოს განსაკუთრებული დადგინდობანი.



გუჯრები

(გაგრაქლება *).

შოვლად სამღვდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე ვამტიცებ წიგნსა ამას და შევაჩვენებ ვითა-რცა ეშმაკსა ამა წიგნისა გამტეხსა. ¹⁾

(ბეჭელი)

ი მ ე რ ე თ ი.

1812 წ. თქვენ, ბატონს ჩემს ყოვლად სამღვდელო მთავარ ეპისკოპოსს ანტონის, ეს წიგნი მოგართვი მე თქვენმა მონამ გოგია ქუთათელადემ. ასე ვითარისთვის, რომ შენი კაცის დავით ქუთათელადის შეილი ვიყავ ნაბიჭვარი, და სამართლით თქვენი ვიყავი. მაგრამ წულუკიძის ვახლდი და შემდგომათ მამა ჩემი და ბიძა სემი მიქელა უბედოთ გადავიდა და მერმეთ გვედრე, და ჩემი თავი თქვენ და თქვენს ეკლესიას მოვედრე და კვლად გვედრე, მამი ჩემისა და ბიძი ჩემისა სულობის მოგებას და თქვენ წყალობა მიყავით და მიბოძეთ. და აწ მე ასე წიგნი მოგართვი რომ დღეის იქეთ ყოველივე, რათა ჩემი შეძლებით თქვენი და თქვენი ეკლესიის ერთგული და მოსამსახურე ვქმნი და არც თქვენ მეტი ბატონი მიწოდდეს და რაც ბევარი მამაჩემს და ბიძაჩემს ემართა, და დავთარშიაც სწერია, არც ის დავიკა და მხიარულებით მოგართვათ. და თუ ამაში მატყუარად გამოვიჩნდე, როგორც ბატონის წინააღმდეგს ეკადრებოდეს, ისე შემოიხე და ჩემს ყოვლისაგან გამაყენე. არის ამისი მოწამე და გამრიგე დავითა წულუკიძის მოურავი, ბეოცანა წერეთელი, და თვით დავითის

¹⁾ ამდენი მიტროპოლიტების დამტიცება უჩვენებს კითხვის დიდს მნიშვნელობას. ეს გუჯრები და ფურცლები არ აქვს დაბეჭდილი.

²⁾ ეს მთავარ ეპისკოპოსის ცნობილია ისტორიის ში. ნახე ჩემი შენიშვნა ხონის გუჯრებისა. იგი იყო ქუთათელად და შემდეგ დაინიშნა კათალიკოსად (H. H. e. II, 2. 88).

*) იხ. «მწვემისა» № 9—10 1891 წ.

დოსტოვრით, და გამოვიგზავნით. გარიგდა ეს ჩემი საქმე, და მე მღვდელი მონაზონს ლორთქიფანიძეს დამიწერია. ქორონიკონს ჩქიზ (1812) ნოემბრის თ (9)

ხ ა ხ უ ლ ი ს ა.

1739 წ. მ. ნებითა ღვთისათა და შეწევნითა წმიდისა ღვთისმშობლისათა ძლიერებითა, პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა მთავარ ანგელოზთა და ყოველთა ზეცისა ძალთათ წმიდისა წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა ნათლას მცემლისა იოანესითა და იოანე ქალწულ მახარებელისათა და წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელთ მოძღვართა, მოწამეთა მამათა და ყოველთა ღვთისა სათნო ყოფილთა წმიდისათა ამათ ყოველთა წმიდათა ზეცასა და ქვეყნისათა ხარციელთა უხორკოთათა შუამდგომლობითა ჩვენ ცვა ფარვით ღვთისათა მონღობილჰან იესიან: დავითიან: სოლომონიან პანკრატიონიან მეფეთ მეფემან ღვთისა მიერ ცხებულჰან ალექსანდრემ გვადრე და მოგახსენე მცირე ესე შემოასაწარი შენ სასოსა სიქადულს მცველსა და მფარველსა, განმძლიერებელსა, აღმამაღლებელსა და მტკიცედ დამამყარებელსა ჩემსა ხახულისა და გელათისა წიქდასა ღვთის მშობელსა უფრობით გამონაწირი ჭიჭინაძე და მეტის შერლების მამული ბეგრს არგოშვილებს დავყავთ და აწ ეს ჭიჭინაძენი ჩვენ შემოგვეზავნენ ავდექით და მაკვირი ჩვენ მასდა სანაცვლოდ მივეცით და ეს ჭიჭინაძენის მამულნი ისევ წმიდა ხახულისა ღვთის მშობელს მიუძღვანეთ და შეეწირეთ და მათსავე მემკვიდრე მებატონეთ მოვეცათ ჭიჭინაძე და მეტის შეილებსა ბეგრსა ხუცესს თუ ერისგანსა შეიწირე შენ ყოვლად პატიოსან ხახულისა ღვთის მშობელი და ნაცვალ გვაშე აქაცა და მერმესაცა მას საუთუნესა ამინ გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ხახულისა ღვთის მშობლის სამსახურში და ჩვენს ერთგულებაში არ მოგეშალოს არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მებატონეთაგან დაიწერა ჩვენისა გარდასულისა 20 ცხრამეტს იენისის ოთხსა მას აქე ათას შეიდას ოცდა ცხრამეტსა.

ჩაწერილ არს კომიტეტსა შინა საეკლესიოთა ჩქლმ. წელსა № 137 *).

შენიშვნა. თუ ეს ალექსანდრე მეტეუთა, რომელიც 1730 წ. გაჩნდა ცხრამეტს ჩვენი ისტორიის ცნობით, მაშინ აქ დასმული თარიღი (1739) შეცდომაა. თუ ალექსანდრე სელემონ I-მე არის მოხსენებულები, ეს შემდეგელია, რადგან ეს უგანასენელი ალექსანდრე დაიბადა 1760 წ. ოცდაცხრამეტის მაგივრად, იქნება ოცდაცხრამეტი იკითხებოდეს, მაშინ ალექსანდრე მე-1 იქნება.

გ ა ნ ე თ ა .

1797 წ. ძ. შენ დიდებულოდედოფალო და ცათა მობაძოგანათისა და ხ. ხულისა ღვთის მშობელო, ჩვენ ცვა ჟარეთა შენთა მინდობილმან და მსასოებელმა. სა- დიდებულად ამერეთა მეფემან მეფეთამან მეჰმან აწი- ლისამან მეარუმან სოფლამან დაფითანმან ესე მცირე და მწვლილებრივ შეწირულობი წიგნი მოგართვით, ესრეთ და ესე. ვითარად რომ. პირველათ. თქვენს. შეწირულს. ადგილზედ. მანდივარს. და თუა მხეიძე დასახლებულიყო და მას მერმეთ კურთხეული. ბიძა ჩემი კათოლიკოზი იოსებ დასდევებოდა. და იმ. მხე- იძეს. იმ ადგილ მამულზედა. კათოლიკოზის იოსე- ბისთვის ხატზედ შამოფიცია. რომ ღენიმე კაცით და იმ ფრცხ ეწია ამოწყვეტილიყვნენ და რომელიმე კი- დევ მოჩინილიყვნენ. მოვიდა წინამძღვარი მხეიძე მოსე. შამოგვეგეწა. და. რომელსაც. ეს წერილი აცხადებს. ყოველივე. ისრე მორე მოგვახსენა. და გამოგვიტყდა გაცხინჯეთ. იმ. ადგილზედ. ვედარავყა- რეთ. თავისი გლეხის ბეგართ. ხახულისა ღვთის მშობლისათვის ძინაქონათ. და ვერც. ის. მოგშა- ლეთ. და ახლა. იმ. მხეიძიანთ. შამოგვიწირავს. მღე- დელი. მხეიძე. მხეიძე იოანე. და მისი. ბიძაშვილი თავისი ცოლშვილით თავისი სახლკარით. ადგილმა მულით თავისი. ყმით და რასიც მქონებელი, იყონ. უკლისათ, სრულებით თქვენთვის. შამოგვიწირავს. თქვენ და. თქვენს ეკლესიაზედ მდგომს. გაენათელს. გმსახურებდენ. მის. გლეხს. რომელიც თქვენი (მე- წარ) შესაწირი ემართოს. თქვენ. მოგართმევდეს. და სამსახურით. თავის ბატონს. მხეიძეს. ემსახურებოდეს შეწირვ. და ნაცვლად გვაგე მადლი და მეოხ მექქენ. აქა. და მას მერმესა აწლამი უყვე. ეს. მხეიძე. ყო- ველს. ადღვომას. და ამაღლებას. ჩვენთვის. აწირვი- ნებდეს. ჩვენთვის განსაძლიერებულად წარსამართებე- ლად. და სული საოხად. და უკეთუ ვინმემძღვარე- ბით. რისხვითა. შენით. და ამოუწყვიტეს საყვარელ- ნი და სასურველნი. და მას. რისმხვა. ღვთისა მიერი და სახლსა მისსა და შვილთა მისთა და იყვენ წყე- ულ. აქა. და მის მერმესა. ხოლო დამამტკიცებელნი და დამბეჭდელნი ამინნი. კურთხეული იყვნენ. სუ- ლითა ღვთისათა. ამინ. ბრძანებისა. ამის. ჩვენისა გა- მრიგედ. და მწამდე წულუკიძე. გიორგი. ჭიჭინაძე. ნიკოლოზ. აღიწერ. ხელი ა. მეფის. კარის მღვდლის. გრიგოლამეილის იესესითა ქრისტეს აქეთ: ჩლჴშ მარტს მ

შენაშ. დ. ფურტკლამქს აწ აქეს დაბეჭდილი ეს გუჴარბი.

გ ე ლ ა თ ა ს .

1776 წ. ქ. ჩემი დეწა დღე და ღამე ეს იყო. რომ რათგან გელათს დიაკვნათ ვეკურთხე მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმთავართ რაც რამე ყოველივე გელათისთვის მინდოდა და კიდევ შემიწირავს რომ რაც გელავანი შემოგავლევ ის დახურვა მინდოდა. აღისუბანი თხილთაწყარო ღობრადეები დაეიხსენი დრად დიდი ხნის დაკარგული და შემიწირავს ჭუმბუ- რიძენი ერთობით ყველა დიდის ცდით და თეთრით მიყიდია ყველა მუხურას კიდევ ოკრიბას გვენტაძე- ნი. რაქას კვაშხითი და საწულიკიძო დიად მრავა- ლით ჟამიდან დაკარგული ამოვიყვანე რომელიც ჩვენს დავთარში ეწერა ჯვარისას და კვაშხიეთის გლე- ხები და მამულ ადგილი ყველა ამოვიღე ჩუნეში და უძღლური ორივე საფიცრით გაცემული იყო და ამო- ვიყვანე სრულებით ჩემი სარჯელით. რომს სულა- ქველიძენი სამი გლეხი დაკარგული იყო და ამოვი- ყვანე. კორიშს გლეხები ამოვიყვანე. ამას გარდა საცა იყო დაბნეული ან გლეხი ან მამულ ადგილი იყო და შევიტყვე წიგნით ყველა ამოვიღე ზოგი თეთრით და ზოგი ცდით და სარჯლით. გაღმა სა- ერისთოში ორი გლეხი ჯანელიძეები ამოვიყვანე: ქუტურს საკანდელაკო კაცები დაკარგული იყო და ამოვიყვანე და მის პატრონს მივეცი და საგელათოთ გახადე ისევე. ამას გარდა ვაქრები ორი ურია მო- შა და მისი ძმები მოძღვარი კიდევ ქუთაისიდან გა- მოვიყვანე მათი ცოლშვილით და გელათს შეწვირე დავითა და მოშია მეფე სოლომანმა შესწირა. ისრა- ელა და ამისი ცოლშვილი იაშვილმა მთავარ ების- კოპოლმა მაქსიმე შესწირა გელათს. ბაბალია მისი ცოლშვილით—აბრამია და მისი ძმა მათის ცოლშვი- ლით. ყვზერა და მისი ცოლშვილი. ხანანია და მისი ძმა მათის ცოლშვილით. ცოცკა და ორი მისი ძმა მათის ცოლშვილით. შამოელა და მისი შვილი ახალ- ციხელი კაცი ცოლშვილით. წითელი დავითია ურია მის ძმა და მათი ცოლი: ესენი ყველა სიყმაწვილიდან დაეიხსენი და ამოვიყვანე და გელათს შევსწირე. სიძე პატარა ურია ობოლი კიდევ გელათს შევწირე. და მისი ძმა და მათი ცოლშვილი. მეორე შალომია (ჭ) და დიაკონი მათის ცოლშვილით საგელათო ამო- ვიყვანე და გელათს შევწირე. ქუთაისადამ გამოყვა- ნილი დავითელა სომეხი ელისბარაშვილი და მისი

კოლშვილი. ორი გლეხი თეოდორეცე. ჯინჭველა-
 შვილები ორი ძმა მათის კოლშვილით. თანდარე-
 შვილა გვარგელა, დავითელა ჰაზაშვილი მესხისა და
 ავლიანისაგან დაეიხსენი. მიქელიძა ლოპიძის სახლი-
 შვილი. თეოდორე კალატოზი. წვერიანაშვილი ორი
 ძმა ნიშნიძენი. ქაიხოსრო მამედისშვილი. კანკაძე
 და თუნია. კვირია (კვდა) კლიაშვილი ნაყიდი ნი-
 ნიკასგან დაეიხსენი. დავითელა ქვარიანი. 1) მღებარი
 გორდუხაშვილი და ბერიკელა და ჰეტრია გორდუხას
 ძმა სიმონ გულაშვილი ჩხარის ნამოსახლი—და კიდევ
 სიმონ გულაშვილი შერაცს შვილები ესენი საყდრის
 იყენენ და ახალციხიდან მოვიყენენ. გიორგი ინაკა-
 ვაძე და მისი კოლშვილი ოთხმოც ფლურათ ვიყი-
 დე. მეფე ალექსანდრეს შეწირული გიორგი ელია-
 შვილი იყო და მერმე კიდევ გაუჭირდა და თეთრით
 მე დაეიხსენი. მისი ძმისწულები შეწირული იყო და
 გაუჭირდა და კიდევ მე დაეიხსენი თეთრით. ვარდა-
 ნეიშვილი ოტიელა. ჯოხიები ორი მოსახლე ხუციანი
 და მისი ძმა ორივე ქარათხაძემა თარაძისშვილისაგან
 ეიყიდე და გელათს შეეწირე აქიმიშვილები ორი ას
 მარჩლათ ვიყიდე: გიორგელა მურთადის ძმა ოცდა-
 ხუთ მარჩლათ ვიყიდე. გიორგი ბერძანისშვილები
 ოთხას სამოც მარჩლათ ვიყიდე ამირან მესხისაგან
 ესენი ყველა გელათისთენ შემაწირავს და ეინც ეს
 ჩემი ნაღვაწი და მოყვანილი გელის ეკლესიას გამო-
 წიროს შეჩვენებული (იყვეს) იყოს ამინ.

დაწირა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვი-
 დას სამოცდა თექვსმეტს და თვესა მაისს ცხრას.

ნიკორწმინდა.

მე-XIX საუკ. ლ: კაცო: ღვთისაო: და სარ-
 წმუნო განმგეო და მწეო: ქრისტეს საიდუმლოთაო:
 და საუნჯეო: მადლთა მათ. სულისა წმინდისათაო:
 და მნათობო ყოვლისა: სოფლისაო: ქებულო: მღე-
 დელთ: მთავართა: შორის. მქადაგებელო ყოვლად
 წმიდისა: სამებისაო: რომლისა: სახელები. სასწულ-
 თა. ურიცხეთა განთქეა: ყოველთა ცის კიდეთა:

შენიშვნა, უკების გასუიად გამოსუიდეგა კარგად ისა-
 ტება ამ გუჯარმა, რამქელიც კეუთენის დიდი სოფლ-
 მონ მკფის დრას.

დიდებულო: მღედელთ. მთავარო წმიდაო ნიკო-
 ლოზ ჩენ ცეა ფარვათა. შენთა. მინდობილმან და
 მსასოებელმან: უდიდებულესმან: და უაღმატებულეს-
 მან: ყოვლისა. საიმკრეტოლსა: დედუფელა: დედუფელ-
 მან: დადაანის ასუჯმან: მარამ: ეინებე: და გულს:
 მოადგინე: მახტურება: წმინდისა ტაძრისა: შენისა:
 სახელსა შენსა ზედა აღშენებულისა: ნიკოლოზს:
 წმინდა: და შემოგწირე ჩენთვის სათავისათოთ.
 დადებული წულუკიძის: ძე კაცია თავისის: საცხოვ-
 რებელით: 1) ანუ: რომელიცა: ჩენსა: უწინარეს: მე-
 ფეთა: და დედოფალოთაგან წყალობად: უბოძებია: და
 ანუ ჩენ მაერ: და ანუ თავისი. შრომითა უღეწია
 და უყიდნია: ადგილი და მამული და ყოველივე
 მონაგები, მისი სასახლე: საფლავ სამარხი: ტყე: და
 მინდარი: თავისის წყლით. და საწისკვილოთი: სა-
 ძებრითი: და უძებრით. სამართლიანის საზღვრით: და
 ყმანიცა მისნი: სხვაკას: კვირიაკეს. შვილი, რამაზკა
 მისი. ძმა გიგია: და მისი ბიძაშვილი კვირია. მი-
 რანა და სვიმონა ბედელაძე. ოთავა: მისი ძმა დავი-
 თიკა: და მეჭყვას შვილები: გიგუნა და ნასხუნა:
 ხიმშს: შოშაკას შვილი კაცნა გოგისაშვილი დათი-
 თიკას შვილები თავისის. კოლშვილით სახლკართ:
 ადგილ მამულით, ტყათ. ველით სათიბით: საყანით:
 საფლავ სამარხათ: საწისკვილოთი: და ყოვლით მა-
 თით. საცხოვრებელით. ჩისაც მქონებელნი არიან
 საძებრით და უძებრით სამართლიანის საზღვრით მა-
 თთანა ვენახი უფლისაშვილის სეული და სხვაცა
 ყოველივე: რომელიცა ხელითა თვისითა მოუგია
 ვითარცა. დავთარიცა მისი აცხადებს: ესრეთ და ესე
 ვითარად რომელ: დიდთა ქირთა. და განსაცდელთა.
 შინა აღთქმა. აღეთქვა შეითვის. წმიდაო ღვთისაო:
 ნიკოლოზ და ვითარცა შემძლებელ: იყავ ეგრეთ
 გვხნა კაცო იგი განსაცდელისა მისგან: და ეინათგან:
 უშვილო იყო და ინება ძისა და: საცხოვრებელისა
 თვისისა და თავისიცა შეწირვა ეკლესისა შენისა
 საქეთ. მყოვბელი ყოვლად. სამღედლო: ნიკოლოზ
 წმიდელ: არხივისკოპოპის: სოფრონიოს: და ვისმი-
 ნეთ ვედრება მისი და ჩენცა ქეშმარიტითა დავთრი-
 თა: დაუშტკიცეთ წმიდასა ეკლესიასა შენსა: რომ-
 მელნიცა. აღწერილ არიან: წიგნსა ამას შეწირე:
 და მოიკნინმწევილცე: წმიდაო მღედელთ მთავარო

1) ამ საუკუნის დამდეგში კიდევ სწირავდნ
 კეკელსას უკებს.

ნიკოლოზ მკირე ძღენი: ვითარცა შეიწაა შენმიერ ქადაგებულმან მაცხოვარმან ორნი იგი მწკლილნი და ნაცელად გვაგე მადლი მფარველობისა შენისა მჩრამთაშას: ცხოვრებთა ჩვენთა ხალა: უყეთ ვინმე ინებოს მამრმან ანუ მღედრმან დღემან ანუ ჰკირემან ანუ ჩვენსა შემდგომან დედუფალმან შლად წერილისა ამის და ესე ჩვენ მიერ შეწირული მიმძღვრის ეკლესიასა შენსა: ეყავ მის შურის მქაეზელ: ქრისტეს: იესოს: წინაშე დღესა მასა საშინელსა, მართალ მსაჯულო მასისა ოდეს მაუადეს განსჯად აღამინაო და ამასცა სოფელსა შურისხენ დაუხეტქენ ძლიერად კვერთხითა: მღვდელთ მთავრობისა შენისათა თავსა მისა: და წარმოაგდებინენ: ორთავე თვალთა გუგანი: და ამოუწყვიდენ ყოველნი საწადნი და საყვარელი: ხალა ქვეყანასა მისა ნუმცა მიეცეს ცვარი ზეკთ რათა არ მასცეს სიპონე საზრდელად: არამედ განიკეთოს შიმშილითა შეილნი და სახლელნი მისნი კვალად საზრდელ მასმელი მისი იქცეს გველად: სამსაოდ: და სისხლად ძღარბისად ყოველსად. იყენ წყევასა და შეჩენებასა თანამდებ ათ ორთა მაცოქულთასა შეადთა კრებათასა და ოთხთა მსოფლიოთ: პატრიარხთასა ხალა, დამამტკიცებელნი და მჭიზრედ დამბეჭველნი ამისნი: იყენ კურთხეულ კურთხევა ვით აბრამითითა ამინ. აწ იქმენ ამა წერილისა მაწამე: ბიძა ჩემი წულუკიძე გიორგი: მოძღვარი ჩვენი მღვდელი იშხნელი ნიკოლოზ ქალეთითა ერთ უხუცესა. ჩვენი ნიკარაძე ზურაბ აღიწერა ხელითა იშხნელის გრიგოლისათა. ქარონიკონს ჩ:პ:ზ: ოკლამბერს (ბ) ამა მიზნისათვის ყოველა მარიამობას ნიკოლოზა წმინდის ეკლესიის მასაუდრე ნიკოლოზს წმინდელს ვანც იქნას საუკუნოდ ჩვენი მწირველი იქმნას თავისის კრებულისთ რომლის ხელშედაც გამაეზალას ჩვენის ცოდვის მაგიერ განიკითხოს სიცოცხლეში ცოცხლისთვის და მემრე მიცვალბულისათვის საუკუნოდ. ჩვენ ყოველად უსამღვდელოეს ქუთათელ მიტროპოლიტი დონსთეოს ვამტკიცებ სიგელს ამს ვენცავენ შლად ხელჰყოს ვწყეფ და მევაჩენებ ზეგარდმოისა მადლისა და მათ მაგიერად ჩვენდა მოცემულთა ხემწიფებად.

ჩვენ თავადნი და მღივან ბეგნი იმერეთისანი ჩიჯავაძე ვახუშტი, ჩხიძე როსტომ, აბაშიძე როსტომ, ლორთქიფანიძე ოტია, ამა ჩვენისა დედუფლისა და დიანის ასულისა მარიამის მიერ მოცემულის სიკელს ვმოწმობთ დავასვამ ბეჭედსა ჩვენსა.

შენიშვნა. ამ საყუჩის დამდგეს ქუთათელად იუო დონსთეოს. ექსარქოს თეოფილაქტეს დაუხვდა იგი ქუთაისში იმერეთის სამეგრელოებთ. დედოფალთ დედოფალი მარია იუო მეუღლე სოლომონ მე-II, იგი იუო ქალი კაცია დადიანსა. † 1841 წ. ჰექტებუჭა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ნ ამა თთვისას პეტერბურგში გარდაიცვალა 77 წლის მოხუცი ქართველი დამსახურებული პოეტისორი ქართულის ენისა და სიტყვიერება—ისტორიისა ყველასგან დიდად პატივცემული დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი. განსვენებულის ბიოგრაფიული მოკლე ცნობები იბეჭდება ამავე ნომერში.

* * *

«ივერია». ში იბეჭდება ერთი გაუთავებელი სტატია «მოკლე მიმოხილვა ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობისა». ამ სტატიის ავტორი, როგორც ეტყება, ძლიერ გამსჭვალულია რომის-ფრანგთა აღსარების მიმართულებით და აღძრულია პიროვნული ანგარიშებით ჩვენს წინააღმდეგელებით მოუთმენვლად ამ გაუთავებელი სტატიის დაბოლოვებას, რომ ვრცლად და ნათლად დავანახოთ მკითხველს საზოგადოებას სტატიის ავტორის შემცდარი აზრი და იეზუიტური მოქმედება სიმართლის გამოაშკარებაში. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ავტორი ამ სტატიისა, თუ მას რაიმე სიმართლე მიუძღვის საზოგადოების წინაშე, ნიღბს ჩამოიხსნის და საზოგადოებას თავის სახელით და გვართ ეჩვენება.

* * *

სენაკის მაზრის სოფლის კიწის ერთი მრევლთავანი გვაცნობებს ჩვენ, რომ ამ სოფლის მრევლის მღვდელი სამსონ ჩაჩიბაია სამწყსოთა სასარგებლოდ მსახურებს და ცხადათ განიჩრევა იგი წინანდელი მწყემსებისაგანო. ავტორი იმედს აცხადებს, რომ კიდევ უმეტესად განვითარდება ეს სულიერი მამა და მისი სამსახურით ყველანი კმაყოფილნი დარჩებიანო.

ჩვენის მხრით გულისთ და სულით ვისურვებთ, რომ ეს იმედი ხსენებულს სამწყსოს ნამდვილად აღუსრულდეს.

* * *

წყემის წმიდის ბარბარეს ეკლესიის მღვდელი არსენ ქალაგანიძე მადლობას სწირავს მისდამი რწმუნებული ეკლესიის მრევლთავანს იესე რატინს, გი-

გო და ბახვა ჭალაღანიძეებს, რომელთაც შეუწირავს ზემოდ აღნიშნული ეკლესიისათვის პირველს ფრაქის საცესლორი, მეორეს — ღეთის მშობლის ხატი და მესამეს — ერთი წყვილი შანდალი, ტრაპეზზედ დასადგმელი.

* *

სოფლის შრომის წმ. მაცხოვრის ეკლესიის მღვდლის მ. დიმიტრი ანთაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

«მ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის «ნწყემსი»-ს შენწვობით გულითადი მადლობა შევსწირო იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ეკლესიას შემოსწირეს სხვა და სხვა საეკლესიო ნივთები და მასთან გთხოვთ დაბეჭდოთ შემწირველთა სია.»

რომანოზ ლაბაძემ თავის საშუალებით ააშენა სამკველო, რომელიც დაუჭდა ორმოც თუმანდუ; მანვე შემოსა სახაკება, რაიცა დაუჭდა ერთი თუმანი; შემოსწიდა განკული, ღირებული 16 მ.; ივანე ბუჯანის ძემ ლაბაძემ — ერთი ოჯახი და 1 დიდი დაფარნა, ღირებულნი 11 მანეთად; აძიან ლაბაძემ — 1 ხაინა ტრაპეზის წინ დასაფენი, ღირებული 10 მ., გიორგი სვანიძემ და მისმა მეუღლამ მარამ ჭუმბურძიმის ასულმა — ორი დაფარნა, ღირებულნი 6 მ.; რომანოზ მახათაძემ — 1 მარხალი განკულს მაცხოვრის ხატის წინ ჩამოსაკიდებელი, ღირებული 3 მ.

* *

სოფლის საქარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ფილიმონ ბარბაქაძე გულითად მადლობას უძღვნის დაბა ყვირილის მეორე გილდის ვაჭარს რაფიელ თეიმურაზის ძეს გველესიანს, რომელსაც ზემოდ აღნიშნული ეკლესიისათვის შეუწირავს 2 ბაირახი, ღირებულნი 25 მანეთად.

საეჭვო კითხვების განმარტება.

ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად და პასუხის მისაცემად ერთი პატრივცემული სასულიერო პირისაგან შემდეგი წერილი:

«ა) სასულიერო გამომკებიებს ნება აქვს: თუ არა, არ მიიღოს აღდგენილი საქმის დასამტკიცებლად წერილობითი საბუთები მომხივან-მოპასუხისგან, უმეტეს მაშინ, როდესაც გამტყნადი უფლები საქმის დამტკიცება მოწმებზე არ არის დაუყენებელი, არამედ წერილობით დამტკიცებაზე?»

განხში ნათქვამი: უოკლეგარი შინაური წერილი მიიღება საქმის დასამტკიცებლად. ნუ თუ წინაგანხისა და საზოგადოებისა უფრო მნიშვნელობა ღმძალა არა აქვს: ოფიციალურ მიწერ-მოწერას, საეკლესიო საბუთებს, შეძლავლ-გასვლის წიგნებს და სსვ.წ

ბ) როდესაც საქმე, თითოეული ნათქვამი საგნის შესახებ, ცხადი ფაქტებით საკმაოდ ახსნილია და დამტკიცებულა, წინააღმდეგ წერილობით დამტკიცებათა, წინააღმდეგ საქმის პეტრონის სურვილისა, წინააღმდეგ აკრებული საკმაოდ ფაქტებით ახსნილი საქმისა, მოწამე მიიშვება თუ არა?

და გ) ვთქვათ: მთავრობა შეეწია ერთს ღარიბს ეკლესიას 500 მანეთით. ამ ფულზედ შედგა კამიტეტი, რომ შინაურული სახით ამ ფულებიდამ გაეკეთნ ის, რაც უფრო საჭიროა ამ ეკლესიისათვის. ამის მაგიერ ერთი მათგანი იძახის: წარსული და მომავლი, რისიც მნიშვნელობისა უნდა იყოს, კამიტეტის უფლებაში შედის თუ არა, იმ ეკლესიას არის თუ სხვისი. განხიერია თუ არა, უოკლისფრის ნება მაქვსო. რაც არ ეკუთვნის კომიტეტის მინდობილებას, და, რაც არ შეეხება იმ საგანს, რომელსაც არაერთად გაუშიდა არა აქვს საქმისადმი, ნუ თუ უფლება აქვს, მით უმეტეს, რომელ განსაკუთრებით ამ 500 მანეთზე კომიტეტი და არა, როგორც საეკლესიო მზრუნველი. — მაგნამ, ის რომ, როგორც უკვლას მოქსენება, ზოგიერთებს უუკრთ თავიანთი გუნებაზე საქმის წარმოება და სამართალი...

მღვდელ...

1) პირველი კითხვის პასუხი: რასაკვირველია უნდა მიიღოს.

- 2) მეორე კითხვის პასუხი: არ მიიშვება.
- 3) მესამე კითხვაზე, პასუხს ვერ ვიძლე-
ვით, რადგან დედა აზრი ძლიერ გაურკვევე-
ლად არის გამოთქმული და, თითქმის, პასუხ-
საც კითხვის მომცემი აძლევს თავის თავს...

წამილი რედაქტორთან.

I

მ. რ. უმარხილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის „მწეების“-ს საშუალებით აგვიხსნათ: მოკლები არიან თუ არა საზოგადოებრივი კვებულის, აუქმონ ხალხი შემდეგ დღეებში: 1 «ქაშეკობას» (აღდგომის შემდეგ მეორე კვირის შაბათს), 2 «ზადაკობას» (მეოთხე კვირ. ოთხშაბათს), 3 «ზღუდობას» (ამავე კვირ. შაბათს), 4 «დაკითობას» (ამაღლების სწორზე), 5 შვიდს და რკას მანის თთვის რიცხვებში და 6 ყოველ ორშაბათ დღეს (აღდგომის დღედგან გიორგობის-თემდე).

ეს კითხვა ბევრს გააკვირვებს, მაგრამ საქმე იმა-
შია, რომ გაზეთში ეს დღეები ბევრგან საყოველთაო
უქმებათ მიანათ და ბევრი მღვდელთაგანი კიდევაც აუ-
ქმებს ხალხს ხალხს ამ დღეებში.

წინააღმდეგობაში ამგვარი კითხვის ახსნას გთხოვ-
დათ ერთი აქაური მღვდელი ა. ტ. და თქვენ კიდევაც
აღუთქვით, რომ „ამის შესახებ ჩვენ ჩვენს აზრს გამო-
ვსთქვამთ შემდეგ ნომერში“. (იხ. «მწეების» № 20
1890 წ.), მაგრამ, თუ არა ესტავით, ეს აზრი ადარ
გამოვითქვამს, თუმცა ძალიან საჭირო იყო.

ესლა კი სწული იმედი გაქვს, რომ ამ კითხვას

უფროდღებოდ არ დასტოვებთ, რადგან ძლიერ საჭი-
როა ამ შემთხვევაში თქვენი აზრი.

მღვ. ი. ვა—შვილი.

ამისთანა საქმეში ქურნაღში ადნსნილი და
განმარტებული სიტყვებით ვერ დავგანმარებთ
ხალხს. ამისთანა კითხვების განმარტება და უკა-
ნასკნელი სიტყვის წარმოთქმა ეკუთვნისთ ად-
გილობრით მღვდელ-მთავართა და მღვდელთა
კრებს, რომლის შესახებ ჩვენ ჩვენი აზრი კიდევ
გამოვსთქვით. ვიდრემდის ეს კრება შესდგებო-
დეს, საჭიროა ეკლესიის ტიბიკონით ვინელ-
მდღვანელოთ.

II

მ. რედაქტორ! უმარხილესად გთხოვთ გან-
გვიმარტოთ შემდეგი საკვლე კითხვა: ორმოცი წლის
დაშასხურებული მღვდელი რომ გარდაიცვალას, დასაფ-
ლავების დროს ეკლესიის შესამოსლით უნდა იქმნეს
შემოსილი იგი, თუ ჭირისუფალი უნდა მოაზრდეს
ამ საჭარბებისათვის საჭირო სამკაული გარდაცვალებული
მღვდლისათვის?

მღ. ფ. ბარ—ძე.

რამდენ ხანსაც უნდა იყოს მღვდელი
ნამსახური, ეკლესიამ უნდა მისცეს მას საჭირო
შესამოსელი დასაფლავების დროს. ამას გარდა
მღვდლისსამსახურს ეკლესიაში იმოდენი პატივი
აქვს, რომ თუ მას ჰქონდეს, გარდაცვალების შემ-
დეგ უსასყიდლოდ ეკლესიაში უნდა დაიმარ-
ხოს იგი. მაგრამ თუ მღვდელს გარდაცვალების
შემდეგ კარგი შეძლება რჩება და ეკლესია კი
ძლიერ დარბია, მაშინ უკანონო იქნება, რომ
ის ერთი ხელი შესამოსელი, რომლის მეტი
ეკლესიას არ გააჩნია, გარდაცვალებულს მღვ-
დელს ჩაატანონ საფლავში...

მიიღება ხელის-წოფარა 1891 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა ღირებულებას

„მ წ ყ ე მ ს ი“



რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

მიზანი და დანიშნულება გახეთისა: 1) შეატყობინოს საზოგადოება და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა წესებზე; 3) გაავრცელოს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სწავლა და მცნებების კრიტიკაობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, შემოსვენების პროგრამის აღსრულების გარდა, არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მ წ ყ ე მ ს ი»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაზოგადებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გასეთისა:

12 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 5 მ. 6 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 6 ,, ,, ორივე გამოცემა 4 ,,
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვინაძეში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვინაძეში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარევე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

პირველი სამკურნალო

ს. ბ. თოფურია

ამოცხვალთა ავითამოფთათვის



მუდმივ საწოლებით.

აუადამოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდან სამ სათამდის: შინაგანი ავთამოფთათვის მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხანურგაულისა და გენეაულისათვის— ლ. პ. ბაესევი, საბები და ქაღის ავადამოფებისათვის— ექიმი-ქალი მ. ფ. ძალანი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევს ხუთ სათიდან შვიდ სათამდის მუთათის სამხედრო საავადამოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მცნებების დოქტორი ძეგხელი.

სამკურნალოთან არის გამართული კაბინეთი ავთამოფთა დასაზელოდ (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

შასი ექიმობისა თითოეულ ნახვანედ ათი შაურია, ძონსილიუმი (ჩხევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ელირება შ მანეთის შარდის თვისებათა გამოკვლევა— ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა როდენობის მხრით— სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა— ორი მანეთი; დაზღვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადამოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი— გარიგებით.

მომსწლოდ აუადამოფებს მიიღებენ ბალახანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იყოფება ბოკერიას სახლებში, მუთათისის ბულვარის პირ-დაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შინაარსი: გიდეე ქართული საეკლესიო გალობის შესახებ.— ღ დავით აესეს ძე ზუბანაშვილი.— დ. პ. ფურცლადი.— ვლადიკავკაზიდან.— წერილი რედაქტორთან.— «ხუენ გაეიარჯუეთი» — მუშის სისარული (ლექსა).— წესდებანი წერა კითხვის სკოლებისა.— საისტორიო მასალა.— სალი ამბები და შენიშვნები.— საეკლესიო კითხვების განმარტება.— განცხადებანი.